ქუთაისის მუნიციალიტეტის მერის
სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

ოქმი №11

ქალაქი ქუთაისი
18 აპრილი, 2019 წელი
ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო დარბაზი

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი;
2. ინგა აბრამიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
3. ნუგზარ კოხრეიძე - სამეცნიერო-ინტელექტუალური კლუბი "თაობათა დიალოგი" თავმჯდომარე;
4. გიორგი ჭიჭინაძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
5. ლევან როხვაძე - თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის თავმჯდომარე;
6. ქეთევან ბერძენიშვილი - არასამთავრობო ორგანიზაცია უფლებებისა და განათლებისათვის;
7. მეგი ნიჟარაძე - ბიზნესის წარმომადგენელი;
8. თემურ ამყოლაძე - მწერალი;
9. გია ცალანი - დევნილთა სათემო კავშირის უფროსი;
10. ომარ კიკვიძე - აკადემიური წრის წარმომადგენელი;
11. ემზარ ღვინიანიძე - სავაჭრო სამრეწველო პალატა;
12. ვლადიმერ კვიტატიანი - ააიპ ინოვაციური განვითარების ფონდი ,,დრანდა";
13. მაია ყუფარაძე - ჟურნალისტი.

რეგისტრაციის შედეგად სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს 22 წევრიდან საბჭოს სხდომას ესწრებოდა 13, სხვადასხვა მიზეზის გამო არ ესწრებოდა 9 წევრი.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულების 4.8 მუხლის თანახმად საბჭო გადაწყვეტილებაუნარიანია, რადგან მას სიითი შემადგენლობის უმრავლესობა ესწრება.

სხდომას უძღვებოდა: ნოდარ ჯიქია - საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ქუთაისის ფილიალის პროგრამების დირექტორი, საბჭოს თავმჯდომარე.

სხდომას ესწრებოდნენ:
გიორგი ჭიღვარია - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერი;
ნინო თვალთვაძე -ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე;
ზურაბ ხურციძე - ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მრჩეველი;

მირზა ხიდაშელი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე;
რუსუდან ჩინჩალაძე - ქალაქ ქუთაისის ააიპ არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელი.

ნოდარ ჯიქია (ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე) წარადგინა დღის წესრიგი, რომლის მიხედვით წარიმართა შეხვედრა.

სხდომა 11

1. რეგისტრაცია
2. ნოდარ ჯიქია (საბჭოს თავმჯდომარე) - დღის წესრიგის გაცნობა და კენჭისყრა.
2. საგზაო ინფრასტრუქტურისა და წყალმომარაგების საკითხები - მომხსენებელი: მირზა ხიდაშელი;
3. არქიტექტურის ა(ა)იპის მიერ დაგეგმილი საქმიანობა. სიახლეები და არქიტექტორთა საბჭოს ჩამოყალიბების ფორმა - მომხსენებელი: რუსუდან ჩინჩალაძე.
4. საბჭოს მიერ წარდგენილი რეკომენდაციების აღსრულების საკითხი. მომხსენებელი: ნინო თვალთვაძე.
5. საერთაშორისო ბიზნეს ფორუმისა და 2 მაისობის ღონისძიებების ორგანიზების საკითხები. მომხსენებელი: ნინო თვალთვაძე.
3. სამოქალაქო მონიტორინგის და კამპანია "მოვუაროთ ჩვენს ქალაქს" კონცეფცია. მომხსენებელი ნუგზარ კოხრეიძე
4. სხვადასხვა: საღორიის ტყის, მაწანწალა ძაღლების და სხვა საკითხები.
5. ნოდარ ჯიქია - სხდომის დახურვა.

1. საგზაო ინფრასტრუქტურისა და წყალმომარაგების საკითხები - მომხსენებელი:
მირზა ხიდაშელი - მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის, ინფრასტრუქტურის განვითარების, კეთილმოწყობისა და დასუფთავების სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილე - ისაუბრა ქუთაისში მიმდინარე და დაგეგმილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე. აღნიშნა თეთრი ხიდისთვის საჭირო სამუშაოების მონახაზი, მიაწოდა ინფორმაცია საბჭოს ცენტრალური ხელისუფლების მიერ ქუთაისში დაანონსებული ქუჩების რეაბილიტაციის თაობაზე, აღნიშნა რიონის პირა სახლების რეაბილიტაციის პროგრამა და უპასუხა საბჭოს წევრების კითხვებს. სამჭოს წინა სხდომაზე განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ლია გვენეტაძე, ინგა აბრამიძე, ქეთევან ბერძენიშვილი, გიორგი ჭიჭინაძე, ლევან როხვაძე, მეგი ნიჟარაძე, გია ცალანი, ომარ კიკვიძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, მაია ყუფარაძე.

2. არქიტექტურის აიპის მიერ დაგეგმილი საქმიანობა. სიახლეები და არქიტექტორთა საბჭოს ჩამოყალიბების ფორმა

რუსუდან ჩინჩალაძე - ქალაქ ქუთაისის ააიპ არქიტექტურის, ურბანული დაგეგმარებისა და ძეგლთა დაცვის სააგენტო ხელმძღვანელი - ისაუბრა არქიტექტურის ახალ სტრუქტურაში განხორციელებულ და მიმდინარე ცვლილებებზე. ახალ კონცეფციაზე, რომელიც მოქალაქეებს და ბიზნესის წარმოდაგენლებს გაუმარტივებს მუშაობას. განმარტა რომ არქიტექტორთა საბჭო განიხილავს შემოსულ პროექტებს და გასცემს რეკომენდაციებს.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ლია გვენეტაძე, ინგა აბრამიძე, ქეთევან ბერძენიშვილი, გიორგი ჭიჭინაძე, ლევან როხვაძე, მეგი ნიჟარაძე, გია ცალანი, ომარ კიკვიძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, მაია ყუფარაძე.

3. საბჭოს მიერ წარდგენილი რეკომენდაციების აღსრულების საკითხი. საერთაშორისო ბიზნეს ფორუმისა და 2 მაისობის ღონისძიებების ორგანიზების საკითხები.

ნინო თვალთვაძე -ქალაქ ქუთაისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე -

მაწანწალა ძაღლები - განიხილება რეგიონული ძაღლთა თავშესაფრის მშენებლობა. დღეს არსებული ვერ იტევს იმ რაოდენობის ძაღლებს რაც არის. პანთეონის გაფართოება - მიმდინარეობს მერიასა და მესაკუთრეს შორის სასამართლო დავა, რომლის ხარჯზე შესაძლებელი იქნება პანთეონის ტერიტორიის გაფართოება. პასაჟების განათების საკითხი - მოწესრიგდება მალე ეს საკითხი. მ. კოსტავას ქუჩის სკვერის მოწყობა - წელს არ არის ჩასმული ბიუჯეტში. მერაბ კოსტავას ძეგლი მოწესრიგდება და გაშენდება ყვავილები. მუხნარის ტყე პარკი - ქუთაისის ბალანსზე არ არის. ეკუთვნის ტყის დაცვის ფონდს. მერია მზადაა ჩაერთოს დიალოგში ყველასთან ვისაც აქვს მოსაზრება და წინადადება ტყის გადარჩენასთან დაკავშირებით. წარდგენილია საპროექტო განაცხადი ტყის გაუმჯობესების თვალსაზრისით რამდენიმე ფონდში და ელოდებიან პასუხს. ეს საკითხი დამატებით განხილული იქნება ექსპერტთა ჯგუფთან. ვოლის ჯი - საზოგადოებრივი საპირფარეშოები - ტენდერი ჩავარდა და მერია საკუთარი ძალებით აღადგენს 1 საპირფარეშოს ცენტრალურ ბულვარში და დანარჩენზე კვლავ გამოაცხადებს ტენდერს. ამ საკითხის მოგვარებაზე ასევე მუშაობს მუნიციპალური განვითარების ფონდი, რომელიც აპირებს სრულად მოაგვაროს ეს პრობლემა საქართველოს მასშტაბით.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ლია გვენეტაძე, ინგა აბრამიძე, ქეთევან ბერძენიშვილი, გიორგი ჭიჭინაძე, ლევან როხვაძე, მეგი ნიჟარაძე, გია ცალანი, ომარ კიკვიძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, მაია ყუფარაძე.

4. სამოქალაქო მონიტორინგის და კამპანია “მოვუაროთ ჩვენს ქალაქს” კონცეფცია.

ნუგზარ კოხრეიძე (საბჭოს მდივანი) - "მოვუაროთ ჩვენს ქალაქს" კამპანია ორი მიმართულებით იმუშავებს: 1. ჩაატარებს შეხვედრებს უნივერსიტეტებში და

მუნიციპალიტეტის ადმინისრაციულ ერთეულში. 2. ჩაატარებს გასვლებს ყველა ინფრასტრუქტურულ პროექტების განხორციელების ადგილას და თავის რეკომენდაციებს მიაწვდის ქალაქის მერიას. სამოქალაქო მონიტორინგის პროცესში საბჭოს ყველა წევრი ჩაერთვება.

აზრი გამოთქვეს: ნოდარ ჯიქია, ნუგზარ კოხრეიძე, ლია გვენეტაძე, ინგა აბრამიძე, ქეთევან ბერძენიშვილი, გიორგი ჭიჭინაძე, ლევან როხვაძე, მეგი ნიჟარაძე, გია ცალანი, ომარ კიკვიძე, ემზარ ღვინიანიძე, ვლადიმერ კვიტატიანი, მაია ყუფარაძე.

გადაწყდა: საბჭოს რიგით მე-12 სხდომა გაიმართება 25 აპრილს 17:00 საათზე, მერის სათათბირო დარბაზში.

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს თავმჯდომარე ნოდარ ჯიქია

სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მდივანი ნუგზარ კოხრეიძე